F 26/1865
5490

# ГРУЗИНСКІЙ ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

## 1865.

## ФЕВРАЛЬ.

საქართჳელოს

სასულიერო მახარებელი.

ფებერვალი.

ჩუდე ბ̃.

**ТИФЛИСЪ.**

ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

# ПОДПИСКА
НА
# „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“
**продолжается.**

Журналъ издается съ іюля 1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Сvнодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

---

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳეყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ., მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი.

---

5490

## კეთილთა ანგელოსთა-თჳს.

§ 57. კეთილნი ანგელოსნი არიან შემკულნი და აღვსებულნი ყოვლითა სიკეთითა და სისრულითა გუ-ლისა და გონებისათა, უმეტეს კაცთა, გარნა არა თანასწორ ღმრთისა. ამისთჳს იწოდებიან იგინი საღმრთო და საეკკლესიო წერილებში ანგელოსად ნათლისა, შვილად ღმრთისად, წმიდად და რჩეულად (2 კორინთ: თ. 11 მ. 14; იობისი თ. 2, მ. 1; მათ. თ. 25, მ. 31; 1 ტიმოთ. თ. 5, მ. 21). სისრულე გონებისა მათისა სჩანს მისგან, რომ მათ ჭეშმარიტად სცნეს შემოქმედი თჳსი—უფალი და აღირჩიეს მარადის ყოფა ნებისა მისისა და ყოვლითურთ მონება, მორჩილება და მსახურება მისი, და ამისთჳს მარადის ხედვენ იგინი პირსა უფლისასა (მათ. თ. 18,

მ. 10); ხოლო ქჳეყანად წარმოიგზავნებიან იგინი ღჳ-თისაგან გამოსაცხადებელად კაცთა დიდისა რომლისა-მე საქმისა და საიდუმლოსა ღჳთისა.—სისრულე და სიკეთე გულისა და გონებისა მათისა სჩანს მისგან, რომ მათ მარადის ესიამოვნებათ კეთილი ცხოვრება და სათნოდ ღჳთისა მოქმედება კაცთა, და სიხარული იქმნების მათთჳს მოქცევა და სინანული ერთისაცა ცოდვილისა (ლუკ. თ. 15, მ. 10). ძალი და ძლიე-რება მათი სჩანს მისგან, რომ ნება-რთვითა ღჳთი-სათა იგინი აღხოცენ და მოაკვდინებენ ერთსა წამსა მრავალთა ერთა, ეგრეთვე — შეეწევიან და დაიფარვენ მართალთა ყოველთა განსაცდელთაგან (2 მეფეთა თ. 24, მ. 16; 2 ჩარალიპ.—ნაშთთა თ. 22 მ. 21; 4 მეფ. თ. 6, მ. 17). ამისთჳს ანგელოზნი იწოდებიან ძლიე-რად ძალითა (ფსალმ. 102, მ. 20); მაგრამ მათ არა ყოველი იციან, მაგალითებრ— არა იციან დრო და ჟამი ქრისტეს მეორედ მოსვლისა ქჳეყანასა ზედა (მარკოზ. თ. 13, მ. 32), და არცა არიან სრულიად მიუდრეკელ ცოდვისადმი, ვითარცა გვამცნებს იობ მარ-

თალი და იტყვის, რომ ღმერთმან ანგელოსთაცა შინა რამე გულარძნილი იხილა, და წინაშე მისა არცა ცაჲ არს წმიდა (იოâ. თ. 4, მ. 17; და თ. 15, მ. 15); ამისთჳს რომ მხოლოდ ღმერთი არის სრულიად უცოდველი და მიუდრეკელი ცოდვისადმი, სიტყვისა-ებრ წმიდისა იოანნე დამასკელისა.

**§58.** ამა ზემო-ხსენებულისა სისრულისა და სიკეთისა-გამო თჳსისა ანგელოსნი არიან ნეტარნი, და მარადის იმყოფებიან სიხარულსა და მხიარულებასა შინა.—და რაჲ არს უნეტარესი და უსასიხარულესი მისა, ვითარიცა არის მარადის ხედვა და მსახურება უფლისა? ხოლო ანგელოსნი მარადის ხედვენ მას პირის-პირ და მსახურებენ შიშით და მრწოლით; გარნა ამა შიშსა და მრწოლასა შინა არა შეიცვის მათთჳს არა-რაჲმე უსიამოვნო და სამწუხარო, არამედ მხოლოდ სიტკბოება და ტრფიალება, მისთჳს რომ იგინი არა იშიშვიან მოკლებისა-თჳს მშვენიერისა მდგომარეობისა და ნეტარებისა თჳსისა, არამედ სრულიად განემკვიდრნენ და განემტკიცნენ მას შინა მადლითა

და წყალობითა ღჳთისათა, რომლისა-მიერ შეიქმნენ იგინი მიუდრეკელ ცოდვისადმი.

**§59.** რავდენნი არიან ანგელოსნი რიცხვით? რიცხვი ანგელოსთა არ-სად არ არის ნახსენები ცხადად და განსაზღჳრებით; მხოლოდ საღმრთო წერილში იხსენება რიცხვი ათასეულად და ბევრეულად (დანიელის თ. 7, მ. 10),— და თჳთ იესო ქრისტემანცა უბრძანა მათთჳს ერთსა მოციქულსა თჳსსა გეთსამანიაში ესრეთ: «ანუ ჰგონებ ვითარმედ ვერ მალ-მიცს ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოსთა» (მათ. თ. 26, მ. 53)? ესე ნიშნავს, რომ კეთილნი ანგელოსნი არიან ფრიად მრავალნი, და ურიცხვნი ჩუჱნისა ცნობისა-თჳს: მხოლოდ შემოქმედმან მათმან უწყის ნამდვილად რიცხვი მათი.

**§60.** რავდენ გვარად განიყოფებიან ანგელოსნი? საღმრთო წერილი გვასწავებს, რომ ანგელოსები განირჩევიან და განიყოფე-

ბიან ერთმან-ერთისაგან ღირსებისა-ებრ და თანამდე-ბობისა მათისა. ესრეთ არიან, მაგალითებრ—ს ე რ უ-ვ ი მ ნ ი (შექმნათა თ. **3**. მ. **24**), ს ე რ ა ფ ი მ ნ ი (ისაიასი თ. **5**, მ. **2**), ს ა ყ დ ა რ ნ ი, უ ფ ლ ე-ბ ა ნ ი, მ თ ა ვ რ ო ბ ა ნ ი, ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა-ნ ი (კოლას. თ. **1**, მ. **16**), მ ა ლ ნ ი, ა ნ გ ე ლ ო ს-ნ ი (რომაელთა თ. **8**, მ. **38**) და მ თ ა ვ ა რ - ა ნ გ ე-ლ ო ს ნ ი (**1** თესალონიკელთა თ. **4**, მ. **16**). ამის-თჳს წმიდა დიონოსიოს არიოპაგელი განყოფს ყო-ველთა ანგელოსთა ცხრა დასად, და ცხრათა ამათ და-სთა—სამად ნაწილად. პირველს დასში არიან: სერა-ფიმნი, ხერუვიმნი და საყდარნი; მეორეში—უფლებანი, მალნი, ხელმწიფებანი; მესამეში—მთავრობანი, მთავარ-ანგელოსნი და ანგელოსნი. თჳთოეულსა ამათგანსა აქუს საკუთარი ღირსება და მსახურება. ესრეთ: ს ე-რ აფ ი მ ნ ი არიან აღვსებულნი და ცეცხლის მსგავ-სად აღგზებულნი უმეტესითა სიყუარულითა ღუთი-სადმი; და ამისთჳს იგინი აღანთებენ და განაღვიძე-ბენ ბუნებასა შინა ყოვლისა გონიერისა ქმნილები-

სასა მტკიცესა და ჭეშმარიტსა სიყუარულსა შემოქ-მედისა მათისადმი. ამისგამო ეწოდება მათ სახელად ს ე რ ა ფ ი მ ი, რაჲცა აღნიშნავს ა ღ მ ნ თ ე ბ ე ლ-ს ა, გ ა ნ მ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ე ლ ს ა, გინა დ ა-მ ა თ ბ ო ბ ე ლ ს ა: ეს არის მოვალეობა და მსა-ხურება მათი ღუთისადმი. ხ ე რ უ ვ ი მ ნ ი არიან განათლებულნი უმეტესითა ნათლითა ღუთის-მეცნიე-რებისათა და საიდუმლოთა მისთა გულის-ხმის-ყო-ფითა; ამისთჳს მოვალეობა მათი არის—მინიჭება და გარდამოცემა ჭეშმარიტისა სწავლისა და მეცნიერები-სათა სხუათაცა-უმდაბლესთა მათდა ანგელოსთა, და კაცთა. ამის-გამო ეწოდება მათ ხ ე რ უ ვ ი მ ი, რაჲ-ცა ნიშნავს უ მ ა ღ ლ ე ს ს ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ა ანუ გ ა რ დ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ს ა ს ი ბ რ მ ნ ე-ს ა. ს ა ყ დ ა რ ნ ი იწოდებიან წმიდათა მამათაგან ღ მ ე რ თ-შ ე მ ო ს ი ლ ა დ, ამისთჳს რომ მათ ზე-და განისვენებს უფალი საბაოთ, ვითარცა გონიერთა საყდართა ზედა, და ჰყოფს მართლ-მსაჯულებასა თჳს-სა. ამისთჳს იტყჳს წმიდა დავით: «დასჯედ საყდარ-

თა ზედა, მსაჯულო სიმართლისაო» (ფსალმ. 9, მ 4). იგინი მსახურებენ მართლ-მსაჯულებასა ღ̂რთისასა, რომლისა ძალსა მოანიჭებენ ქ̂რსტ̃ენიერთა მსაჯულთაცა, და შეეწევინა მეფეთა და მთავართა სჯად სიმართლისა.—უ ფ ლ ე ბ ა ნ ი არიან ისრეთნი ანგელოსნი, რომელნიცა უფლებენ უმდაბლესთა დასთა ზედა, და არიან რა სრულიად უფალნი, მსახურებენ უფალსა ნებით და სიხარულით, იჳნიერ მონებრივისა შიშისა და მრწოლისა. იგინი მოანიჭებენ გულის-ხმის-ყოფასა და შეეწევიან უფალთა ქ̂რსტ̃ეანისათა მართვად კეთილად და ღ̂რთივ-სათნოდ ქვეშევრდომთა თჳსთა. ძ ა ლ ნ ი მოანიჭებენ ძალსა და განამტკიცებენ მშრომელთა და ტვირთ-მძიმეთა მოთმინებასა, სულ-გრძელებასა, ჭირსა და მწუხარებასა შინა, და აღუსუბუქებენ უღელსა მათსა, მსგავსად მართლისა იობისა და წმიდათა მოწამეთა, და სხჳათა ყოველთა სარწმუნოებისა და სიმართლისა-თჳს ტანჯულთა.—ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ნ ი არიან იგინი, რომელთაცა აქუსთ ხელმწიფება სულთა ზედა არა-წმიდათა დათრგუნვად მძლავრობათა და

შემუსრვად ამპარტავანებათა მათთა, რომლისა-გამო იგინი ვერა ავნებენ კაცთა იმოდენ, რაოდენიცა სურსთ მათ სიბოროტისა-ებრ მათისა.— მ თ ა ვ რ ო ბ ა ნ ი არიან იგინი, რომელნიცა მთავრობენ მათ ანგელოს-თა ზედა, რომელნიცა წარმოიგზავნებიან ქუეყანად აღსასრულებელად ნებისა და ბრძანებისა ღმრთისა. ამათ აქუსთ მინდობილი ღმრთისაგან მმართველობა ქუეყნისა და დაცუა ერთა და სამეფოთა ქუეყანისათა.— მ თ ა ვ ა რ-ა ნ გ ე ლ ო ს ნ ი, ანუ კ ე თ ი ლ-მ ა უ-წ ყ ე ბ ე ლ ნ ი მოუთხრობენ აღსრულებასა წინათ-განზრახულთა საიდუმლოთა ღმრთისათა; ესრეთ, მაგალითებრ, მთავარ-ანგელოსმან ახარა მარიამ ქალწულ-სა შობა მისგან მაცხოვრისა. ეგრეთვე იგინი გამო-უცხადებენ კაცთა წინასწარმეტყველებათა და გამოუთარგმანებენ ნებასა ღმრთისასა. უმდაბლესნი ყოველთა უხორცოთა დასთანი არიან ა ნ გ ე ლ ო ს ნ ი. იგინი არიან უფროს სხუათა დაახლოვებულნი კაცთა თანა, და მარადის ასწავებენ მათ კეთილ-მსახურებასა. ითარცა დადგენილნი მათ ზედა წინამძღურად, მცვე-

ლად და მფარველად.—ყოველნი ესე დასნი უხორცო-
თა ძალთანი იწოდებიან ხშირად საზოგადო ლექსით
ა ნ გ ე ლ ო ს ე ბ ა დ, რაჲცა აღნიშნავს წ ა რ -
მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ს ა ანუ მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ს ა
ღჳთისასა: ეს არის საზოგადოდ მოვალეობა ყო-
ველთა ანგელოსთა—უმაღლესთა და უმდაბლესთა.— აღა-
სრულებენ უკუჱ იგინი სხჳათა და სხჳათა მსახურე-
ბათა და თანამდებობათა მისთჳს, რომ მადლმან ღჳ-
თისამან მიანიჭა მათ სხჳა და სხჳა ნიჭი, და განუ-
წესა სხჳა და სხჳა მოვალეობა,—ესრეთ რომელ უმ-
დაბლესნი მიიღებენ ცნობასა და განათლებასა უმაღ-
ლესისაგან, და სხჳანი.— ხოლო ყოველთა ანგელოს-
თა და ზეცისა ძალთა მხედარი და უფროსი არის
მთავარ-ანგელოსი მ ი ხ ა ი ლ, ვითარცა უმახლობე-
ლესი ღჳთისა მოსამსახურე. ისტორია მოგვითხრობს,
რომ როდესაც ბოროტმან ეშმაკმან აღძრა ქვეშევრ-
დომნი ანგელოსნი თჳსნი უარის-ყოფად და არა-მორ-
ჩილებად ღჳთისა, მაშინ წმიდა მიხაილმან შეჰკრიბა
მსწრაფლად ყოველნი ანგელოსნი და ღაღად—ჰყო ხმითა

დიდითა: «მოხედენ! ვსდგეთ კეთილად წინაშე შემოქმედისა ჩუენისა, და ნუ განვიზრახავთ წინა-აღმდეგსა ღუთისასა! მ ო ხ ე დ ე ნ! ვითარ შექმნილნი ჩუენთანა ანგელოსნი ამპარტავანებისა-თჳს მათისა შთავარდნენ ქუესკნელსა შინა, და ნათლისაგან შეიცვალნენ ბნელად!»—და მერმე ყოველთა უხორცოთა გუნდთა თანა დიდების მეტყველებით იწყო ქება წმიდისა სამებისა და თქმად: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა». (*)— ამის ხსენებას აღასრულებს მართლ-მადიდებელი ქრისტუს ეკლესია 8-ს ნოემბერს.

**§ 61.** ზემო-თქმულნი ესე გვასწავებენ, რომელ ანგელოსნი მარადის აქებენ და ადიდებენ შემოქმედსა თჳსსა—ღმერთსა, ისმენენ და ასრულებენ სიტყუასა და ბრძანებასა მისსა. ესრეთ, მაგალითებრ, ისაია წინასწარმეტყუელმან იხილა სერაფიმნი გარემოს ღუთისა, რომელნი ხმობდენ ერთი მეორისა მიმართ, და იტყოდენ მსგავსად მიხაილ მთავარ-ანგელოსისა:

(*) იხილე რუსულს წიგნში— *Чет. Мин.* 8 нояб.

«წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ. . . » (ისა-იაჲსი თ. 6, მ. 3). წმიდა იოანე ღ̃თის-მეტყველმან იხილა ეგრეთვე, რომელ ანგელოსთა განსვენება არა აქუსთ დღე და ღამე, არამედ იტყვიან დაუცხრომელად: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი» (გამოცხად. იოანესი თ. 4, მ. 8). ეგრეთვე ანგელოსნი მსახურებდენ უფალსა ჩ̃ნსა იესო ქრისტესა, როდესაც იმყოფებოდა იგი ქ̃ყანაზედ, და ემსახურებიან დროსა მეორედ მოსვლისა მისისასა განსჯად ცხოველთა და მკ̃დართა (მათ. თ. 4, მ 11; და თ. 25, მ. 31), და სხ̃ანი...

**§62.** თჳნიერ მსახურებისა და მორჩილებისა ღ̃თისა, ანგელოსნი მსახურებენ და შეეწევიან კაცთა საქმეთა შინა მათთა, ვითარცა ნებისა-ებრ და ბრძანებისა ღ̃თისა, ეგრეთვე სურვილისა-ებრ და კეთილმზრუნველობისა მათისა კაცთა-თჳს. ჩ̃ნ გვაქუს ცხადი დამტკიცება ამისი საღმრთო წერილში და საეკკლესიო ისტორიაში. მაგალითებრ: ანგელოსნი აუწყებენ კაცთა ნებასა ღ̃თისასა და ასწავებენ აღსრუ-

ლებელსა მისსა თჳნიერ ყოვლისა წინა-აღმდგომლობისა და ცუდად-მეტყველებისა (ლუკ. თ. 1, მ. 5—20; მათ. თ. 1, მ. 20), იცვენ და იფარვენ სამეფოთა ქრისტეანისათა და საზოგადოებათა კაცთასა და ადგილთა ღჳთის-მსახურებისათა, ესე იგი—ქალაქთა, ეკკლესიათა, მონასტერთა და სხჳათა (გამოცხად. იოან. თ. 7, მ. 1; თ. 14, მ. 18; თ. 15, მ. 6); იგინი განამტკიცებენ და განამხნევებენ კაცთა შიშსა და მწუხარებასა შინა, დაიცვენ და გამოიხსნიან განსაცდელისაგან (შექმნათა თ. 32, მ. 1; დინიელ. თ. 6, მ. 22; საქმე მოციქ. თ. 5, მ. 18—19, და თ. 12, მ. 7); დროსა სიკჳდილისასა წარმოუდგებიან მართალთა, მიიღებენ სულსა მათსა, განსდევნიან ეშმაკთა—ბნელთა და ბოროტთა, და უშიშრად წარგზავნიან მიცჳალებულსა ღჳთისადმი, და თჳთცა წინა უმღვიან მას (ლუკ. თ. 16, მ. 22); ლოცჳასა და ვედრებასა კაცთასა მიართმევენ ღმერთსა და განამლიერებენ მას მეოხებითა და შუამდგომელობითა თჳსითა წინაშე ღჳთისა. ყოველსა ამას შემოკლებულად გამოხატავს წმიდა მოციქული

პავლე ესრეთ: «ანგელოზნი არიან მოვლინებულნი მსახურებად მათ-თჳს, რომელთა იგი დამკვიდრებად არს ცხოვრება საუკუნო» (ებრ. თ. 1, მ. 14).

**§ 63.** ზემო-თქმულსა სწავლასა ზედა მსახურებისა და მოქმედებისა-თჳს წმიდათა ანგელოზთა შესახებელად ცხოვნებისა და კეთილ-მმართველობისა კაცთა ნათესავისა, დაეფუძნების ფრიად სანუგეშო და სასიხარულო ჩუენ-თჳს დოღმატი—მ ც ვ ე ლ ი ს ა ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა-თ ჳ ს თჳთოეულისა ქრისტიანისა. მცველ ანგელოზად იწოდება ის ანგელოზი, რომელიცა მოენიჭება თჳთოეულსა ქრისტიანსა ღუთისაგან ჟამსა ნათლის-ღებისასა, და იმყოფება მარადის მცველად და მზრუნველად მისა ვიდრე აღსრულებადმდე ცხოვრებისა.— სწავლა ესრეთისა ანგელოზისა-თჳს იყო ძველს აღთქმაშიცა. მაგალითებრ, როდესაც აბრაამმან წარგზავნა მონა თჳსი—ელიაზარ მესოპოტამიას ანუ ქუეყანასა შუა-მდინარისასა, მოჰოემად სასძლოსა მისა-თჳს თჳსისა—ისაკისა,—მაშინ რქუა მას: «უფალმან მოგივლინოს ანგელოზი თჳსი წინაშე შენ-

სა, და შენ მოგვარო ცოლი ძესა ჩემსა ისააკს» (შესქ. თ. 24, მ. 7). წიგნი ტობიასი შეიცავს ფრიად სანუგეშოსა მოთხრობასა მოქმედებისა-თჳს მცველისა ანგელოსისა შესახებელად ამა კეთილ-მსასურისა კაცისა და სახლისა მისისა (იხილე წიგნი ტობიასი). ამისთჳს იტყვის წმიდა წინასწარ-მეტყველი დავით: «დაიბანაკებს ანგელოსი უფლისა გარემოს მოშიშთა მისთა, და იხსნის მათ;.. რამეთუ ანგელოსთა-თჳს უბრძანებიეს უფალსა დაცვად კაცთა ყოველთა შინა გზათა მათთა, რათა არა წარსცენ ქვასა ფერხნი მათნი» (ფსალმ. 33, მ. 7; და 90, მ. 11);—და თჳთ უფალი ჩუენი იესო ქრისტეცა გვამცნებს ამას შემდგომითა სიტყვითა: «ეკრძალენით, ნუ უკუე ვინმე შეურაცხჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი (ყრმათაგანი): გეტყვი თქუენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა» (მათ. თ. 18; მ. 10). ხოლო უკეთუ მივხედავთ მდგომარეობასა ქრისტიანისასა, და ვიხილავთ, თუ რაოდენნი მტერნი— სულიერნი და ხორციელნი მარადის ებრძვიან და შე-

იწროებენ მას, რათამცა მიაქციონ იგი გზისაგან ჭეშმარიტებისა უკეთურებისადმი და წარწყმიდონ,—მაშინ უფრო ცხადად ვსცნობთ, რომელ კაცთ-მოყუარებასა და სახიერებასა ღუთისასა არა შეეფერება დატევება ქრისტიანისა კაცისა შორის ეს-ოდენთა მტერთა და მკელთა, შემჭმელთა და მომდირებელთა სულისა მისისათა. უკეთუ ღმერთმან, გამოხსნისა-თჳს კაცთა ნათესავისა ტანჯვისა და მმლავრობისაგან სულიერისა მტერისა, მოავლინა ქუეყნად მხოლოდ-შობილი მე თჳსი,—შესაძლო არისა ვიფიქროთ, რომელ მან დაგვიტევა ჩუენ თჳნიერ საკუთართა მცველთა და მფარველთა? არა, წინააღმდეგ მრავალ-გვართა და მრავალ-ფერთა სულიერთა მტერთა მოგვანიჭა ჩუენ ღმერთმან ეგრეთვე სულიერნი შემწენი, მცველნი და მფარველნი—წმიდანი ანგელოსნი, რომელთაცა ცხადად იციან ყოველნი საცთურნი და მანქანებანი ეშმაკთანი და აქუსთ მალი დათრგუნვად ყოველთა აღძრვათა მათთა და ბოროტ-მოქმედებათა ჩუენდა მომართ.

**§ 64. როდეს მოენიჭება კაცსა ღუ-**

თისაგან მცველი ანგელოსი?— ანგელოსი მოინიჭება კაცსა მცველად და მფარველად დროსა წმიდისა ნათლის-ღებისასა,-როგორც ვისილეთ ზემო-თქმულს პარაგრაფში,— და ამიერიდგან იმყოფება იგი ნათელ-ღებულისა თანა მარადის; ხოლო ნათლის-ღებამდინ იმყოფება კაცი ეშმაკის ხელში, რომელიცა აბნელებს გულსა და გონებასა მისსა, რათა არა სცნას მან გზა ჭეშმარიტებისა და მოიქცეს და სცხონდეს. მაგრამ თუ ნათელ-ღებულმან კაცმან—ქრისტიანმან არა ისმინა კეთილი შეგონება და დარიგება მცველისა ანგელოსისა, და იწყო ცხოვრება ბოროტად და ღუთის წინააღმდეგად,—წმიდა ანგელოსი განეშორება მას, ვითარცა ფუტკარი ბოლიანსა ადგილსა, და დაშთება გარეშე მზრუნველად და ზედამხედველად მისა, რათა კვალად მოაქციოს იგი სინანულად და კეთილისა ცხოვრებისადმი. ამისთჳს მართებს ყოველს ქრისტიანს სიფრთხილით და კრძალულებით ცხოვრება, რათა მარადის ახსოვდეს მას დიდი წოდება თჳსი და არა განარისხოს მრავალ-

მშობელთა მისთა! მეცა ნეტარ ვარ აღვსებული ხილვისა მის მიერ. განჳამზადებ რა ესე ვითარსა ქალწულსა სასძლოდ სიტყჳსისა!» სიტყუანი ესე არიან გიორგი ნიკომიდიისა. მსგავსადვე მისა უბნობს ნეტარი იერონიმეცა: «ანგელოსნი მოვიდეს მისდამი თჳთოეულსა დღესა, და მე უკეთუ მკითხოს ვინმე, თუ ვითარ სცხოვრებდა ყოვლად-წმიდა ქალწული დროსა სიყრმისა თჳსისასა! მე პასუხ-უგებდი მას: ესე ცხად-არს წინაშე ღჳთისა და მთავარ ანგელოსისა მისისა გაბრიელისა, განუშორებელისა მცველისა მისისა, ეგრეთვე სხჳსათა ანგელოსთა, რომელნიცა მისდამი ხშირად ვიდოდეს და ტკბილად საუბრობდეს.» ესრეთ ყოვლად წმიდა ქალწული ჰგიებდა წმიდათა შინა წმიდათასა ანგელოსთათანა და თჳთცა ისურვა ცხოვრება მარადის სიწმიდესა შინა ანგელოსებრსა, ვითარცა მისთჳს სწამებენ წმიდანი მოძღვარნი გიორგი ნოსელი, იერონიმე და სხჳსანი, იგი იყო პირველი მათ ქალწულთაგან, რომელთაცა შესწირეს ქალწულება თჳსი საუკუნოდ ღმერთსა, მისთჳს, რომელ ძველ-აღთქმაში არ იყო ჩვეულება დაშთენა ქალწულად, რამეთუ მეუღლეობითი ცხოვრება ირიცხებოდა მაშინ უმჯობესად და უპატიოსნესად ქალწულებისა. და ესრეთ ყოვლად წმიდა ქალწულმან პირველად ყოველთა ქუეყანასა ზედა აღირჩია ქალწულება და არა მეუღლეობა და ჰყო თავი თჳსი სასძლოდ ღჳთისა რომელსაცა მსახურებდა დღე ყოველ და ღამე სიწმიდით და უბიწოებით. ხოლო წმიდა, ვითარ იგი სათნო იჩინა მამამან განუმზადებდა რა მას შინა მხოვლიოსა ღჳთისა სიტყჳსასა. რათა ექმნეს დიდება და მადლობა ყოვლად-წმიდასა და განუყოფელსა სამებასა, ხოლო ყოვლად უბიწოსა დედოფალსა ჩვენსა ღჳთის-მშობელსა პატივი და ქება ყოველთა ნათესავთაგან, უკუნისამდე. ამინ.

---

მ ო თ ხ რ ო ბ ა

## ხარებისა-თჳს ყოვლად წმიდისა ღ̃თის-მშობლისა, გამოკრებული საღმრთოთა და წმიდათა მამათა წერილთაგან.

---

ოდეს მოიწია უკანასკნელი ჟამი იგი ძველის აღთქმის ეკკლესიისა, და მოახლოვდნენ დღენი კაცთა გამოხსნისანი განკაცებისა-მიერ ღ̃თისა, ჯერ იყო რათამც, იშოვნეს ქალწული უბიწო, პატიოსანი, წმიდა, ღირსი თჳს შორის განხორციელებისა უსხეულოსა ღ̃თისა, რომელი იქმნეს საჭურველად ჩვენისა გამოხსნისა დიდისა საიდუმლოჲსა. და იშოვაცა ეს-ვითარი ქალწული, ყოველთა უპატიოსნესი, ყოველთა გონიერთა შექმნილთა არსებათა უბიწოესი. ყოველთა წმიდათა უწმიდესი, ყოვლად კურთხეული ქალწული მარიამი ნორჩი წმიდათა და მართალთა მშობელთა ღ̃თისათა იოაკიმ და ანნასი, ნაყოფი მარხვისა და ვედრებისა მათისა, ასული ნათესავისაგან მეფისა და მღვდელთ-მთავრისა, იშოვნა წმიდასა ადგილსა შინა სოლომონის ეკკლესიისა იგი,—რომელიცა თჳთ უნდა იქმნეს ეკკლესიად ღ̃თისა, შიგან ტაძრისა წმიდათა შინა წმიდათასა, სადა ყოფა არავის ხელეწიფებოდა, იშოვნა იგი, რომლისა წინად აღნიშნულ-იყო შობა ყოველთა უწმიდესისა სიტყვისა, რამეთუ მადლით მოხედა უფალმან მუნ სიმშჳდესა მონისა თჳსისასა და აღმოურჩია აღრჩეული ყოველთა გვართაგან დედად თჳსსა წინად საუკუნემან სიტყჳამან.

ღირს სარწმუნონი მწერალნი ამტკიცებენ რომელ ხარებადმდე ანგელოსისა, უწყებულ-იყო ქალწული განხორციელებისა-თჳს მას შინა საიდუმლოდ სიტყჳსა ღ̂თისა. ყოვლად-წმიდა, ჰსცხოვრებდა რა ტაძარსა შინა, იქმოდა არა თუ ოდენ ხელსაქმესა, განიზრახვიდა საღმრთოთა ჰაზრთა და ილოცვიდა დაუცხრომელად; არამედ განისწავლებოდაცა კითხვითა საღმრთოთა წიგნთათა დღე და ღამე და ჰსჯულსა შინა ღ̂თისასა. წმიდა ეპიფანე და ამვროსი სწამებენ მისი ჩვეულებაზე აღმატებულის გონებისათჳს, და იტყვიან, რომელ მას უყვარდა სწავლა და ფრიად გულმოდგინედ ჰკითხულობდა საღმრთოსა წერილსა. გიორგი კედრინი, ეკკლესიურთ ამბავთ-მწერალი, მოგვითხრობს, რომელ ყოვლად-წმიდამ დროსა ცხოვრებისა მშობელთა თჳსთასა, კარგად ისწავლა ებრაეულნი წიგნნი ჰკითხულობდა ხშირად ისაიას საწინასწარმეტყუ̂ლოსა: «აჰა ქალწული მუცლად მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს ჩ̂ჳ̂ნთანა ღმერთი», — მას შინა აღეგზნებოდა სიყვარული, არა თუ მხოლოდ მესსიისა მოლოდებისა, არამედ წინასწართქმულისა ქალწულისაცა, რომელსაცა ეგულვებოდა მუცლად ღება და შობა მისი.-ამისთჳს განიზრახვიდა იგი ვითარ დიდ იქმნების იგი, ვინცა ეღირსოს ყოფად დედად ემმანუილისა, და ვითარ გამოუთქმელ-არს ესე საიდუმლო, რათამცა ქალწული იყოს დედად. მეცნიერ იყო იგი წიგნთ საწინასწარმეტყუ̂ლოთასა, რამეთუ მოახლოვდა ჟამი მესსიის გამოცხადებისა და სკიპტრა მოეღო იუდასა და შვიდეულნი დანიილისანი აღესრულნეს, ჰგონებდა, რომელ ქალწული, წინადვე უწყებული ისაიას-მიერ, ჯერ-არს უკ̂ჱ ყოვლად ქ̂ჱყანასა ზედა, და ხშირად აღმოიოხვრიდა სიღრმით გულისა თჳსისა და ილოცვიდა მისთჳს, რათა ღირს-ჰყოს იგი უფალმან ხილვასა აღრჩეულისა ქალწულისასა, და უკეთუ ესე შესაძლებელ-არს, ჰყოსცა იგი მისდა მონად უკანასკნელად. ერთგზის ჟამსა შ̂ჳა-ღამისასა, ილოცვიდა რა ჩვეულებისა-მებრ თჳსისა, უკან მეორისა კრეტსაბმელისა მხურვალესა სურვილსა და ვედრებასა აღავლენდა ღ̂თისა მიმართ, მსწრაფლ გამობრწყინდა მას ზედა მაღლით ნათელი უჩვეულო და ესმა ხმა მეტ-

უწოდი მისდამო: «შენ შობ ძესა ჩემსა!» არა არს სიტყუა გამომხატველი სახარულევანისა გრძნობისა, რომლითაცა აღივსო ყოვლად წმიდა ქალწული, და თაყვანისცა ღმერთსა შემოქმედსა და ჰმადლობდა მას, რამეთუ მოხედნა უფალმან სიმდაბლესა ზედა მხევლისა თჳსისასა, რამეთუ რომელსა ენება სიყვარულისა-თჳს ღუთისა მსახურ-ყოფა წმიდისა მესიისა მშობლისა, ეღირსა იგი დედად უფლისა თჳსისა მყოფობასა, და იქმნა დედოფლად ყოვლისა ქმნულებისა. ესე გამოცხადება იხილა მან მაშინ, ოდეს იგი იყო თორმეტის წლისა წინარე ორისა წლისა მისის დაწინდვისა, გარნა საიდუმლო ესე არავის გამოუცხადა მან ვიდრე ამაღლებამდე ქრისტესსა.

ვითარცა სწამებს წმიდა ევოდი, ოდეს შესრულდა თერთმეტი წელი წმიდის ქალწულის ტაძარსა შინა მყოფობისა, ხოლო გიორგი კედრინი იტყვის, ოდეს თოთხმეტის წლისა იყო,—მაშინ მღუდელთ-მთავართა და მღუდელთა უბრძანეს ყოვლად წმიდასა გარდასახლება ტაძრიდამ სახლსა შინა თჳსსა წესისა-მებრ და სჯულისა, მსგავსად სხუათა ქალწულთა ქრმისა შესართავად. გარნა მან უპასუხა მათ, რომელ იგი მიართვეს მშობელთა თჳსთა ღმერთსა, და თჳთცა აღუთქუა მას მარადის დაცვა ქალწულებისა თჳსისა, და ამისთჳს არა შესაძლებელ-არს მისა შეერთება მოკუდავთა კაცთათანა, მისთჳს რომელ იგი არს შეწირული ღუთისა უკუდავისა, და ამისთჳსცა ვერა რასამე შეუძლია რომ შეიყუანოს ჩვეულებითსა ქორწინებასა შინა. მღუდელთ-მთავართა ფრიად დაუკვირდებოდათ ახალი აღთქმა ესე; რამეთუ ქუეყანასა ზედა არ იყო არცა ერთი ქალწული, რომელსაცა აღეთქუას ღუთისა-თჳს დამარხვა თჳსისა ქალწულებისა. და აჰა გამოცხადდა პირველი ესე! მღუდელთ მთავართა იწყეს რჩევა ურთიერთისა შორის, თუ ვითარ მოიქცენ ამა შემთხვევასა შინა, და განიზრახეს, აღუკრძალონ მას სჳლა ტაძარსა შინა უკანა მინაგანისა კრეტსაბმლისა, გარნა ვერცა-და იკადრებდეს დაწინდვასა აღთქმულისა ღუთისასა, და ამისთჳს იყვნენ იგინი დიდს იჭვნეულებასა შინა, რამეთუ ეშინოდათ ღუთისა, რათა არა განარისხონ იგი. რამეთუ არა

უწყოდენ, თუ ვითარ უმჯობესად შუენოდა განმზადება მის ქალწულებრთის ცხოვრებისა, თანახმად ნებისა ღმრთისა და განიზრახვიდეს ჰქმნან ერთი ორთაგანი: ანუ იძულებით შეიყვანონ ქალწული მეუღლებასა შინა, ანუ დაუტეონ იგი წმიდათა შინა წმიდათასა, ვინაჲთგან იყო იგი სრულსა ჰასაკსა შინა. პირველიცა და მეორეცა ეჩუენებოდათ მათ დიდ ცოდვად. წმიდა გრიგორი ნისელი უბნობს ესრეთ: « ოდეს უკუე იყო მცირე წლოვან ქალწული, მაშინ მღვდელნი სცვიდეს მას, ვითარცა სამუილსა, ტაძარსა შინა; გარნა ოდესცა შეიქმნა სრულ-წლოვან, მაშინ იწყეს ურთიერთისა შორის განზრახვა, თუ ვითარ ჯერ არს მოქცევად. ამა შემთხვევასა შინა ესრეთ, რომელ არა განარისხონ მათ ღმერთი. ხოლო ნიკიფორე კალლისტი, მწერალი ეკლესიურის ისტორის მოთხრობისა, მოიყვანს შემდგომსა მოთხრობასა:

« მღვდელნი წინაშე სჯულის კიდობნისა გულს-მოდგინედ ევედრებოდეს ღმერთსა, (ვითარცა მოგვითხრობს იერონიმე), რათამცა ცხად ჰყოს ნიშითა თჳსითა მამაკაცი, რომელსაცა სახესა ქუეშე მეუღლეობისასა იყოს შესაძლო მიცემა ქალწულის დასაცველად ქალწულებისა მისისა. უფალმან შეისმინა რა ვედრება მათი უბრძანა მათ აღრჩევა უქორწინებელთა მამაკაცთა სახლისაგან და ტომისა დავითისსა, და დაწყობა კუერთხთა მათთა საკურთხეველსა ზედა და მიცემა ქალწულისა მისდა, რომლისაცა კუერთხი აღყუავდების, ხოლო ჟამსა ამას დადგა დღესასწაულობაცა ტაძრის განწმედისა ანუ კურთხევისა, რომელიცა დაწესებულ-იყო მაკკაბელთა მიერ; დღესასწაული ესე იწყებოდა ოც და ხუთსა ნოემბერსა და დასრულდებოდა დეკემბრის სამსა. მაშინ შეკრბა ტაძარსა შინა მრავალი ერი ქალაქებთაგან, რომლისაგამო მოსრულ-იყვნეს მუნ მამაკაცნიცა იგი დავითის ტომისანი, მონათესავენი მარიამ ქალწულისანი, გიორგი კედრინი მოგვითხრობს, ვითარმედ მართალმან ზაქარიამ, მამამან იოანე წინამორბედისამან შეკრიბნა ათორმეტნი მამაკაცნი უქორწინებელნი ტომისაგან დავითისსა, რომელთა შორის იყო წმიდა იოსებიცა, კაცი მართალი, მოხუცებული. მაშინ აღიღო ზაქარიამ კუერთხნი ამათ მამაკაცთანი და დასდვა

ლამით საკურთხეველსა ზედა, და სთქუა: «უფალო ღმერთო! გამოაჩინე ღირსი ქალწულისათანა დაწინდვისა მამაკაცი». ხოლო დღესა მეორესა განთიად შერავიდეს მღუდელნი და თორმეტნი მამაკაცნი მათთანა ეკკლესიასა შინა და იხილეს კვერთხი იოსების, აღყვავებული, და მჯდომარე მას ზედა ტრედი, ვითარცა სწერს ნეტარი იერონიმე. მაშინ ცნეს ყოველთა, რამეთუ სათნო იჩინა ღმერთმან, მიეცეს ქალწული იოსებს დასაცველად. რომელნივე ამტკიცებენ, ვითარმედ ყოვლად წმიდა ქალწულსა, ფრიად მწუხარ-ქმნილსა დაწინდვისა ამისთჳს, აქუნდა საკუთარი გამოცხადება, რათა არა იჭჳნეულ-იქმნეს, წარსვლად სახლსა იოსებისა, ქრმისა მისისა, კაცისა მართლისა, ნათესავისა და დამწინდველისა მისისა. უმაღლესმან განგებულებამან განაწესა ესრეთ. იოსებმან, სათნომან ღუთისამან, წარიყვანა თჳსდა წმიდა ქალწული ხელთაგან მღუდელთ-მთავრისათა და მღუდელთა, არა მეუღლეობისა წესითა, არამედ დასაცველად მისის სიწმიდისა მეუღლეობისაგან უცხოჲსა, და ესრეთ ქმარად წოდებული, იყო მცველად და მსახურად ქალწულებისა და უმაღლესისა სიწმიდისა ყოვლად უბიწოჲსა ყრმისა.

ყოვლად წმიდა ქალწულმან, მცხოვრებმან სახლსა შინა თჳსისა დაწინდულისასა, არა შესცვალა უწინდელი სახე ცხოვრებისა, ვითარიცა აქუნდა წმიდათა შინა წმიდათასა. იგი დაუცხრომელად ეგებოდა საღმრთოსა განზრახვასა შინა, და ლოცვათა, განაგრძობდა კითხვასა საღმრთოთა წიგნთასა და უჩვეულოსა რასამე ხელსაქმესა იქმოდა, სახლი იოსებისა იყო მისთჳს ტაძრად სალოცავად. არა სადა ვიდოდა იგი, არამედ იმყოფებოდა განშორებასა, მარხვასა და მდუმარეობასა შინა, იზრახვიდა მხოლოდ ასულთა თანა იოსებისათა. ამას მოგვითხრობს მისთჳს გიორგი კედრინი, მეტყუჱლი, ვითარმედ ყოვლად-წმიდა არა ვიდოდა ადგილსა, სადაცა იყვნენ ერნი და სცხოვრებდა სახლსა შინა ქრმისა თჳსისასა, იმარხვიდა და ზრახვიდა მხოლოდ ასულთა თანა ქრმისა მისისათა და ამასაცა იქმოდა საჭიროებისა-თჳს. წამებისამებრ წმიდისა ევოდისა, შემდგომ ოთხის თჳს წმიდის ქალწულის მყოფობისა სახლსა შინა იოსებისასა, დადგა ჟამი განხორციელებისა სიტყვისა ღუთისა, ჟამი საუკუნითგან მოლოდებული,

და საწადელი ყოვლისა სოფლისა, ჟამი, რომელსა შინაცა იწყო გამოხსნა ჩუენი და მოავლინა ღმერთმან ერთი ზეციერთა სულთაგანი, მდგომარე წინაშე საყდრისა მისისა მთავარ-ანგელოსი გაბრიილ, საიდუმლოის უწყებითა, რომელიცა დაჰფარა ღმერთმან საუკუნეთა თჳს და თჳთ ანანგელოსთაცა არა აუწყა. მოავლინა იგი, რათამცა ახაროს ყოვლად წმიდასა ქალწულსა, საკვირველი მუცლად-ღება მისი ღუთისა, რომელიცა აღემატების ყოველსავე მოგონებასა და ბუნებასა კაცისასა. ხარებისა ამისთჳს, წმიდა ლუკა სახარებასა შინა ესრეთ სწიერ: « თუესა მეექუსესა მოავლინა ღმერთმან ანგელოსი თჳსი გაბრიილ. თვე ესე მეექუსე იყო შემდგომად წმიდის იოანე წინამორბედის მუცლად-ღებისა, და იგივე ანგელოსი, რომელმანცა აუწყა ზაქარიას მუცლად-ღება იოანესი, მოივლინა ქალწულისა მიმართ ხარებად განხორციელებისა ქრისტესსა, და ესე იქმნა მეექუსესა თვესა მისთჳს, რათამცა ექუსის თჳს წინამორბედი მუცელსა შინა დედისასა ჰკრთოდა სიხარულით, ესმას რა მოსვლა მისდა დედისა უფლისა.

« მოივლინა ანგელოსი ქალაქად გალილიასა, რომლისა სახელი ნაზარეთი. » მაშინ გალილიასა შინა მკჳდრობდენ წარმართნი და ისრაილნი, რომლისა-თჳს წერილსა შინა იწოდების იგი: « გალილია წარმართთა. » ხოლო ისრაილთა-შორის იგი ირიცხებოდა უკანასკნელ სამფლობელოდ და იყო დაწუნებულ მათ მიერ ამა მიზეზისაგამო, რამეთუ მას შინა სცხოვრებდენ წარმართნი და ურწმუნონი, და ესრეთ დაამდაბლებდეს რა მხარესა ამას იტყოდეს: « ნუ უკუე ქრისტე მოვალს გალილიით? განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ არავინ წინასწარმეტყუელი მოსულ-არს. » რომლისა თჳსცა ქალაქსა ნაზარეთსა რაცხიდენ იგინი თჳთ უკანასკნელად და არა რად, იგინი იტყოდეს, შესაძლებელ-არსა ვითარიმე კეთილი ნაზარეთით. აწ ვიხილავთ ნებასა ღუთისასა, სადა ინება მან ყოფა დედისა მისისა. არა სამფლობელოსა შინა იუდასსა, არა წმიდასა და დიდსა ქალაქსა შინა იერუსალიმს, არამედ ესრეთ წოდებულსა, ცოდვილსა გალილიასა, ღარიბსა ნაზარეთსა შინა. ამით გვიჩვენა მან, რამეთუ ქრისტ-

ყანასა ზედა მოვიდა ცოდვილთა-თჳს: « არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად: » და კეთილ-ინება ურწმუნოთა წარმართ-თაგან აღშენება სარწმუნოებისა ეკკლესიისა. ეგრეთვე ამით გვაჩვენა ცხა-დად, რამეთუ იგი წყალობით მოხედავს მშვიდთა, მდაბალთა და განგდე-ბულთა და ამპარტავანთა. ოდესცა სიტყუამან ღმრთისამან, ინება მოსვლა ზეცით ცოდვილთადმი და დიდითა დიდებითა თჳსითა მოხედა მუნ, სა-დაცა იყვნენ უმეტეს ცოდვილნი; მაშინ ჰურიასტანსა შინა იხილა მან, რომელ იერუსალიმელნი ჰგონებდეს თავთა თჳსთა მართალად, ხოლო გალილეველთა შეურაცხ-ყოფილად, რამეთუ ირაცხებოდნენ იგინი უმეტეს ყოველთა ცოდვილად მათ მიერ. და ესრეთ არა მოვიდა ჰურიასტანსა, ამაოდ წმიდასა შინა, არცა იერუსალიმს, დიდსა და დიდებულსა ქალაქ-სა; არამედ უფალი მოვიდა გალილეად, რომელსაცა ამაოდ ჰგონებდენ ცოდვილად, ნაზარეთსა, ქალაქსა ღარიბსა და შეურაცხ-ყოფილსა, აღირ-ჩია რა თჳსდა სამყოფელოდ ქუეყანასა ამას ზედა, უკანასკნელი ადგილი და დაიმდაბლა თავი თჳსი, სახე მონისა და ცოდვილისა მიიღო. ნაზა-რეთი იყო ღარიბი და მცირე; გარნა ღირსი დიდისა მადლისა. რამეთუ ყოველნი სხუანი ქალაქნი ისრაილისანი, ზეცადმდე ამაღლებულნი. ვერა-სადამე ღირს-იქმნეს. ღარიბსა ნაზარეთსა შინა აღმოსჩნდა ქალწული ყო-ველთა ანგელოსთა უწმიდესი. საშომან მისმან დაიტია ზეცათა მიერ და-უტევნელი. მისდამი მოივლინა გაბრიელ, ჰფარვიდა მას სული წმიდა, და განხორციელდა მას შინა სიტყუა ღმრთისა. სადაცა არს სიმშვიდე, მუნცა დიდება ღმრთისა. ქალაქნი მდიდარნი და ამპარტავანნი არა სათნო-ექმნენ ქრისტესა. ხოლო დამდაბლებულნი სასიამოვნო იყო მისა. მდაბალსა ნა-ზარეთის ქალაქსა შინა მუცლად-იღო ქალწულმან ქრისტე. ხოლო დი-დებულსა იერუსალიმსა ჯუარს აცუეს იგი. მცირესა ბეთლემსა შინა იშვა იგი, ხოლო დიდსა იერუსალიმსა შინა სიკუდილად მიეცა. მშვიდთა შო-რის უფალი დაემკვიდრების, ხოლო ამპარტავანნი სდევნიან მას თჳსთაგან.

წმიდა ანდრია კრიტელი ანგელოსის მოვლინებისა-თჳს ყოვლად წმი-დის ქალწულისადმი ესრეთ უბნობს: ერთსა უპირატესსა ანგელოსთაგანსა

უბრძანებს უფალი გამოცხადებასა საიდუმლოჲსა და უმაღლესის გამოცხადებისაგამო თჳსისა, ვითომც ესრეთ აუწყებს მას: გაბრიელ! წარვედ ნაზარეთად, გალილიის ქალაქსა, მას შინა სცხოვრებს ყოვლად-წმიდა მარიამ, დაწინდული იოსებისა, წარვედ, იტყჳს უფალი ნაზარეთად; მისთჳს, რამეთუ ყოვლის-შემძლებელი მიიღებს უმშვენიერესსა, უკეთილსუნნელოვანსა ვარდსა ეკკლისასა; წარვედ ნაზარეთად, რათამცა აღსრულდეს წინასწარმეტყველება, «რამეთუ ნაზარეველ ეწოდოს». ვინ იწოდების ნაზარეველად? იგი რომელსაცა ნათანაილ უწოდებს შემდგომში: «ძედ ღ̃თისად, და მეუფედ ისრაილისა.» მოივლინების გაბრიელ, რომლისაცა წინადვე უკ̃ფ ბრძანებულ-იყო ხარებად ღ̃თაებრივთა საიდუმლოთა, ვითარცა ამისთჳს წერილ-არს ცხადად წიგნსა შინა დანიილ წინასწარმეტყველისასა, (თავი იჵ. მუხ, ივ) წარვედ ნაზარეთად, ბრძანებს ღმერთი, მივედ მუნ და ახარე ქალწულსა სიხარული, რომელიცა, ოდესმე დაჰკარგა ევამ. გარნა ფრთხილ-იყავ, რათა არა აღაშფოთო იგი, რამეთუ მილოცვამან შენმან, უნდა მიართვას მას სიხარული და ნუგეში, და არა მწუხარება და აღშფოთება. შესაძლებელ-არსაა იქმნეს კაცთა ნათესავისა თჳს რაჲმე უსახარულევანეს ამისა ამისთჳს რომელ აწ უკ̃ფ კაცობრივი ბუნება შეერთდება საღმრთოჲსა ბუნებისათანა, და იქმნების ერთად ღ̃თისათანა? იქმნებისალა, რაჲმე უმეტეს განსაცვიფრებელ, ვითარ ხილვა ღ̃თისა დამამდაბლებელისა თავისა თჳსისასა ვიდრე აქამომდე, რომელ საშო დედა კაცისა იტვირთავს მას? ვინ შეუძლოს მიწთომა საიდუმლოისა მის, რამეთუ ღმერთი, რომლისა საყდარიცა, ხოლო კვარცლბეკი ფერხთა მისთა არს ქ̃ჳუანა, ღმერთი, რომლისაცა დატევნად ცანი ცათანი ვერა შემძლებელ-არიან, რომელი საუკუნითგან ჰგიეს მამისათანა საყდარსა ზედა დიდებისასა, დაიტევის საშოსა შინა ქალწულისასა? რა არს უსაკვირველეს მისა, ვითარ ხილვა თჳთ ღ̃თისა სახითა კაცისათა, და ეგრეთვე ქმნილისა კაცობრივისა ბუნებისა—შეერთებულისა ბუნებისათანა შემოქმედისა, რათამცა ღმერთ-კაცად სრულად და უნაკლულოდ გამოცხადდეს.

ესმარა გაბრიილს ბრძანება, დამტკიცებული წამისყოფითა ღ̂უთისათა ძრწოლასა შინა და სიხარულსა უღონოებდა, რამეთუ ვერა ჰპოვებდა თჳს შორის ძალსა დამტევნელსა ესოდენ განსაკვირვებელისა საიდუმლოჲსასა; გარნა ვერცა იკადრებდა ურჩებასა, და გარდამოჰფრინდა იგი ნაზარეთად და დასდგა შესავალსა სახლისა იოსებისასა, (ვითარცა უბნობს წმიდა ანდრია) და განიზრახვიდა თჳს შორის: ვითარ ვიწყო აღსრულება ღ̂უთისა მიერ ბრძანებულისა. თუ შევიდე მსწრაფლ, აღვაშფოთებ მით განსვენებასა ქალწულისასა. თუ შევიდე მოკრძალებით და სიწყნარით? გარნა მაშინ იგრძნობს ქალწული მისვლასა ჩემსა და მიეფარების. დავრეკო კარსა? გარნა ანგელოსსა არა შვენის აღრჩევა ესრეთთა საშ̂უალებათა, რამეთუ უსხეულოთა თჳს არა რაჲ იქმნების დახშულ და დაკეტილ. განვაღო კარი? გარნა მე თვინიერ მისაცა ძალ-მიძს შესვლა. უწოდო ქალწულსა სახელი? გარნა ამით შეშინდება იგი. უმჯობეს-არს შევიდე სახლსა მისსა წყნარად და ვახარო სიმშვიდით, რაჲცა მიბრძანა მე უფალმან ღმერთმან. რაი უკ̂ჳ̂ ვიწყო უბნებად მისდა. ვაუწყოა უწინარეს ყოვლისა სიხარული, ანუ მიუთხრა, რომელ თჳთ ღმერთი დაიტევის მას შინა, რამეთუ სული წმიდა მივალს მის ზედა და ძალი მაღლისა დაჰფარავს მას? უწინარეს ყოვლისა ვაუწყებ მას სიხარულსა და თანა დავრთავ საკვირველსა საიდუმლოსაცა. ვიწყებ და სიხარულით უღაღადებ მილოცვასა ამას ჩემსა. «გიხაროდენ! მხიარულ-იყავ! ნუგეშინისცემულ-იყავ!» სიტყუ̂ა ეს გიხაროდენი იქმნების ქალწულისა თჳს თჳთ დასაწყისად ჩემის საუბრისა. მაშინ უკ̂ჳ̂ იგი არღა შეშინდების და არცა ფიქრნი აღაშფოთებენ მას. რა მიულოცავ მას, ვითარცა მეუფესა, ვიწყებ უწყებად მისდა ყამსა სიხარულის დასაწყისსა, სუფევასა სიმშვიდისასა, ნათელსა ღ̂უთისასა ხსნისათჳს და დასაბამსა ნუგეშინის ცემისასა.

ხედავთაა ვითარითა კეთილ-მოწიწებითა მივალს ანგელოსი საღმრთოჲსა ყრმისათანა, ვითარის ძრწოლითა და პატივითა ემზადების წარდგომად წინაშე დედოფლისა ყოვლისა სოფლისა, ვითარ ამზადებს სიტყვასა უწყებისა მისდა სიხარულისა, ვითარ დასდებს სიტყვათა ხარებისათა

სულსა შინა თჳსსა. მიაქციეთ ყურადღება მას ზედა, რამეთუ იშოვა მან ქალწული, არა გარეშე სახლისა, არა უბანთა ზედა სოფლიურთა საუბართა მზრუნველობათა შინა ამა სოფლისა; არამედ მდგომარე კრძალვით კითხვასა შინა. ჟამსა ამას ოდესცა ქალწულისათანა ზეციური მახარებელი, იგი-ვითარცა ჰგონებენ მოძღვარნი ეკლესიისანი განიზრახვიდა რა წინასწარმეტყველის სიტყუათა: « ეჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე. » თუ ვითარ აღსრულდეს ამა უცხო და უჩვეულებრივო ქალწულისაგან მუცლად-ღება და შობა? გიორგი კედრინი სწერს, ვითარმედ უწინარეს ამა ჟამისა აქუნდა მას უწყებული ღ̂თის გამოცხადებითა, ვითარცა ზემორე ვსთქვით, რამეთუ სახელდობ იგი, და არა სხუა ქალწული ღირს იქმნების საიდუმლოს აღსრულებასა და შობასა სასურველისა მესსიისასა. ამა უწყებულთა აღეგზნებოდა მას შინა სერაფიმებრივი სიყვარული ღ̂თისადმი და ევედრებოდა მისსა მოწყალებასა: ჰყოს მან აღსრულება ღ̂თაებრივისა აღთქმისა მისისა და წინასწარმეტყველობა ისაიასი და მხურვალების სურვილითა იტყოდა: მოიწიოს ჟამი იგი გულის საწადელი, და შემოქმედი ჩემი კეთილ მიღებასა კაცობრივისა სხეულისასა, ოდეს გარდამოხდების იგი ზეცით და დაემკვიდრების ჩემ შორის? ოდეს ღირს ვიქმნები მოწევნასა ნეტარისა და კურთხეულისა ჟამისასა, რომლისა შინა ვიქმნე დედა ღ̂თისა ჩემისა? მუნადმდე ცრემლნი ჩემნი მექმნებიან მე საზრდელად. გარნა მომლოდნეთა სანატრელისათა მცირეცა ჟამი გრძლად აღმოუჩნდებისთ ».

ჟამსა ამა განზრახვათა და საიდუმლოთა ლოცვათა განგრძობისასა, რომელიცა გზებარითა სიხარულითა აღავლინებოდიან უფლისა მიმართ საბაოთისა, მყის ნელიად წარმოუდგა წინაშე მისსა კეთილ-მაუწყებელი მთავარანგელოსი გაბრიელ ანდრია წმიდა მოძღვარი ამისთჳს ესრეთ სწერს: « მთავარ ანგელოსი გაბრიელ. მოვიდა სახლად განსასვენებელსა შინა ქალწულისასა, შევიდა წყნარად და მშვიდობით იწყო მისთანა საუბარი: გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთანა! იგი, რომელიცა უწინარეს შენისა იყო, აწ შენთანა არს, და მსწრაფლ შენგან გამოსცხა-

დღების; მყოფი უწინარეს საუკუნეთა, აწ იქმნების ქუეშე ჟამისა.» ეჰა უსაზღვროო კაცთმოყუარებაო (ღაღადებს წმიდა ანდრია)! ეჰა გამოუთქმელო მოწყალებაო! მთავარ ანგელოსი, არათუ ოდენ ახარებს სიხარულსა, არამედ დამკვიდრებასაცა შემოქმედისასა ქალწულისა შორის. სიტყუანი მისნი: «უფალი შენთანა»! ცხადად გვაჩვენებს მოსვლასა მისდა მეუფისასა, რომელიცა თუმცადა მიიღებს ქალწულისაგან კაცობრივსა სხეულსა; გარნა მით მცირედცა არა განეშორების მას შესაბამი მისდა დიდება! გიხაროდენ სახარულევანო! უფალი შენთანა! გიხაროდენ ყოვლად პატიოსანო ჭურო ღჳთისაო მწუხარებისა სიხარულად შემცვალებელო! გიხაროდენ ჭეშმარიტად ყოვლად-კურთხეულო გიხაროდენ ქალწულო ყოვლად-მშვენიერო! გიხაროდენ დიდ შემკულო ტაძარო ზეციურისა დიდებისაო! გიხაროდენ წმიდაო პალატო მეუფისაო! გიხაროდენ სახლო სამეუფეო, რომელსა შინა ქრისტე კაცთა თანა შეერთდა! კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის, შენ, რომელიცა გიხილა ისაიამ წინასწარმეტყუელებრივითა თვალითა, და გიწოდა წინასწარმეტყუელად და ქალწულად, წიგნად საიდუმლოდ დაბეჭდილად! კურთხეულ-ხარ ჭეშმარიტად შენ, იეზეკიილისა მიერ ქალწულად და კარად წოდებულო, რომლისა მიერ მხოლოდ ღმერთი გამოვიდა. კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის, რომელიცა მამაკაცმან სურვებათამან დანიილ წინასწარვე გიხილა ვითარცა მთა, და რომლისაცა საკვირველმან ამბაკუმ მთად აჩრდილოვანად, და მეფემან წინაპარმან შენმან დავით მთად ღჳთისად გიწოდა, მთად რომელსა შინა ღმერთმან კეთილ-ნება დამკვიდრება! კურთხეულ-ხარ დედათა შორის, შენ, რომელიცა ზაქარიამ, დიდმან მჭვრეტელმან ღჳთაებრივთა საიდუმლოთა, გიხილა ვითარცა სასანთლე ოქროსი განშუენებული შვიდითა ლამპრითა მიერ, რომელნიცა წარმოაჩინებდეს შვიდთა ნიჭთა სულისა წმიდისათა. ჭეშმარიტად კურთხეულ-ხარ შენ, რომელმან სამოთხე და მტილი ედემისა და თჳთ ქრისტე თჳს შორის დაიტიე, რომელმანცა ვითარცა წყარომან წყლისა ცხოვრებისამან, შენგან შობილმან დაათრო ქუეყანა ოთხითა სახარების ნაკადულითა.»

ესმა რა ქალწულსა ხარება ანგელოსისა შეშფოთნა იგი სიტყუათაგან

მისთა და თავსა შორის თჳსსა განიზრახვიდა: ვითარ ჯერ-არს ყოფად ესე, გარნა არა შეშინდა მით რამეთუ მოსვლა მისდამო ანგელოსისა არა იყო მისთჳს ახალი და მოულოდნელი. გამოცხადებასა ანგელოზისა არა ძალ-ედვა შეშინება მისი, რამეთუ იგი დაახლოვებულ-იყო მათთანა წინათვე ოდესცა ჰგიებდა წმიდათა შინა წმიდათასა, სადაცა სიტყვისაებრ წმიდისა გერმანესა, თვითოეულსა დღესა მიიღებდა საზრდელსა ხელთაგან ანგელოსთასა. არამედ შეშფოთნა იგი განკვირვებისაგან, რამეთუ არაოდეს არა გამოსცხადებიეს მას ანგელოსი ესრეთ ელვარებითა სახითა და დიდითა დიდებითა, ესოდენ მოხარულის პირითა, წარმომეტყუ̂ჱლითა სახარულევანთა სიტყუ̂ათათა. თუმცაღა ამბავსა ხარებისასა და ყმიერორე. ოდესცა უწოდა მას ანგელოსმან დედად: « კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის !» ჯერ იყო შეეშფოთებინა ქალწული, გარნა იგი, ვითარცა ნიჭებული სულითა სიმხნისა და კეთილ-გონიერებისათა არა შეშფოთნდა, არამედ განიზრახვიდა თავსა შორის თჳსსა; რასა ნიშნავს ესრეთი მოლოცვა და რაჲ ეგულების ჩემდა თქმად ანგელოსსა ? არა შემიყუ̂ანსაა მე გვალად ტაძრად უფლისასა ? ანუ არა მოაქუ̂სრა ჩემდა ზეცით საზრდელი ? ანუ არა მაუწყებსაა იგი ღუ̂თისაგან ახალსა რასამე საიდუმლოსა ? არა მასწავებსაა იგი მე ესრეთ მრავალ განმზრახველსა და გულის-ხმისყოფად ვერა შემძლებელსა, თუ ვითარ ძალ-უძს ქალწულსა შეუცლად-ღება და შობა მისა ? რაჲ უკუ̂ჱ შეუდგების ამა მოლოცვასა ?»

მაშინ ანგელოსმან ჰრქუ̂ა მას: ნუ გეშინის მარიამ და ნუცა იჭვნეულობ, რამეთუ იგი ქალწული, რომლისათჳს წინადვე სთქუ̂ა ისაიამ, თჳთ შენ ხარ, და შენ ჰპოვე მადლი, რათამცა შეუცლად-იღო უთესლოდ ემმანუილ და შუ̂ა იგი გამოუთქმელი, ვითარცა მან თჳთ უწყის. შენ ჰპოვე მადლი ღუ̂თისა მრავლითა სათნოებითა, საკუთრად სამითა უკუ̂ჱ უმაღლესითა: უღრმესის სიმშვიდითა შენითა, ვინაჲთგან უფალი მშვიდთა და მდაბალთა მოანიჭებს მადლსა თჳსსა, ვითარცა იტყვის: ვის ზედა განვისვენო ? მშვიდთა და მდაბალთა ზედა. სიწმიდითა ქალწულებისა შენისათა; ვინაჲთგან ღმერთსა ვითარცა უუწმიდესსა თჳსითა ბუნებითა ენე-

ბა შობა უწმიდესისა და უხრწნელისა ქალწულისაგან, და დასასრულ შენ ჰპოვე მადლი: თჳსითა ღჲთისა მიმართ მგზებარითა სიყვარულითა; რამეთუ უფალმან სთქუა: შევიყუარე მე მოყვარენი ჩემნი და მეძიებელთა ჩემთა ჰპოვონ მადლი. «შენ შეიყვარე იგი და ეძიებდი მას ყოვლითა გულითა და მისთჳსცა ჰპოვე მადლი მისი, და შობ ძესა არა მოკუდავსა, არამედ ძესა ღჲთაებრივსა, ძესა მაღლისასა, ღჲთისაგან ღმრთისა, უწინარეს საუკუნეთა მამისაგან უდედოდ შობილსა. რომელსაცა შენ ქალწულის დედისაგან შობად ეგულების, და სახელი მისი იქმნების საკვირველ და გამოუთქმელ: შენ უწოდებ მას სახელად იესოს, რომელიც ნიშნავს: მხსნელსა; რამეთუ მან იხსნას ყოველი სოფელი და სუფევა მისი იქმნების უზესთაეს და უდიდებულეს მეუფობისა წინაპარისა მისისა დავითისა და ყოველთა წინარე მეოფთა მეფეთა სახლისაგან იაკობისა, გარნა სუფევა მისი იქმნების არა ჟამიერი, არამედ საუკუნო და დაუსრულებელი.

მარიამ მიუგო და ჰრქუა: «ვითარ იქმნების ესე, ოდეს არ ვიცი მე მამაკაცი?» ყოვლად-წმიდა ქალწული არა ურჩ ექმნებოდა სიტყუასა ანგელოსისასა, რამეთუ იგი იყო უწყებულ საღმრთოჲსა მადლისა მიერ, რომელ იგი შობს კეთილ უწყებულსა; მხოლოდ არა უწყოდა მან თუ ვითარითა სახითა ესე აღსრულდების, და ვითარ ქალწულსა არა მცოდნელსა მამაკაცისასა ძალუძს შობა? ამისთჳს იგი გამოიკითხვიდა ანგელოსისაგან, ვითარ იქმნების ესე? წმიდა ამვროსი ესრეთ მოგვითხრობს, შჳსოდა მას კითხვა: «ვითარ იქმნების ესე?» ამისთჳს, რომელ თუმცადა მას წარეკითხა საღმრთოსა წერილსა შინა, რომელ ქალწული მუცლად იღებს გარნა მისდა არა ცხად-იყო, თუ ვითარ იქმნების მუცლად-ღება ესე; აღმოიკითხვიდა საწინასწარმეტყუელოსა შინა: აჰა ქალწული მუცლად-იღებს: გარნა თუ ვითარ მუცლად-იღებს ესე აუწყა მას ანგელოსმან. და მანვე გამოუცხადა მას, ვითარმედ ესე მუცლად-ღება იქმნების არა კაცობრივის ბუნებისაებრ, არამედ უზესთაეს ბუნების სახითა, რამეთუ სადაცა ენებოს ღმრთისა, მუნცა იძლევის წესი ბუნებათა. ანგელოსმან ჰრქუა ქალწულსა, რამეთუ მუცლად-ღება ესე იქმნების სულის

წმიდის მოქმედებითა; სული-წმიდა მოვალს შენ ზედა და ძალი მაღლი-სა გფარვიდეს შენ! მისგან მიიღებ მუცლსა შინა შენსა, და იგი სრულ-ჰყოფს შენ შორის დაფარულსა. იგი რომელმანცა უსულოს მიწისაგან შეჰქმნა ცხოველი ადამი, ვერ შემძლებელ-არსაა აწარმოვოს ქალწული-საგან ყრმა? ანუ ვინცა შეჰქმნა ადამის გვერდისაგან ცოლი მისი, მას არა ძალ-უძსაა შექმნა კაცისა საშოსა შინა ქალწულისასა? ყოვლად-წმი-დაო ქალწულო, ყოვლისა მოქმედი სული წმიდა ესრეთ ჰყოფს, რომელ ყოვლად-წმიდასა საშოსა შინა შენსა შეისხამს ხორცისაგან შენისა სა-იდუმლოდ სხეულსა უსხეულო სიტყ̃ჳსა ღ̃თისა. შენის სიწმიდისა მიერ დაბეჭდულსა და ქალწულებით დაცულსა კარსა განვლის უფალი, ვითარ-ცა სხივმან მზისამან განვლოს ბროლსა შინა, გასგანათლებს და განგ-წმედს შენ ღ̃თაებრივითა დიდებითა თჳსითა, და შენ იქმნები ჭეშმარიტი დედა ღ̃თისა, შობრა სრულსა ღმერთსა და სრულსა კაცსა და დაშთები უხრწნელად ქალწულად, ვითარცა შობადმდე, ეგრეთვე შემდგომად შო-ბისა: ესრეთ მოსვლითა სულისა წმიდისათა ძალი მაღლისა აღასრულებს ყოველსავე შენ ზედა. დასამტკიცებელად უკ̃ჱ სიტყ̃ჳსათა ჩემთა ჭეშმა-რიტებისასა განგიცხადებ შენ, რამეთუ ნათესავმან შენმან ელისაბედ სი-ყრმითგან უნაყოფომან და უკ̃ჱ მოხუცებულმან მუცლად-იღო მე და ღმერთმან ინება სრულ-ყოფა მისი, რომელიცა შეუძლებელსა იქმს შესა-ძლებელად. კაცთა ეჩვენების შეუძლებლობა უხრწნელისა ქალწულისაგან შობა ძისა უმამაკაცოდ და მუცლად-ღება უნაყოფოისა, უკ̃ჱ მოხუცე-ბულისა მიერ, გარნა ყოვლად ძლიერის შემოქმედისა-თჳს ყოველივე შესა-ძლებელ-არს; მისის წამის ყოფითა უნაყოფომან მოხუცებულმანცა მუ-ცლად იღო, შენცა ქალწულო, მუცლად იღებ და შობ ძესა.

მოისმინა რა ანგელოზისაგან ხარება ესე, ყოვლად-წმიდამ თაყვანისცა ნებასა უფლისა თჳსისასა, უღრმესის სიმშვიდითა და გულითადის სიყვა-რულითა ღ̃თისათა, პასუხ უგო: «აჰა მხევალი უფლისა! მეყავნ მე სიტ-ყვისამებრ შენისა,» და მყის მოქმედებითა სულისა წმიდისათა შესრულ-და გამოუთქმელი მუცლად-ღება საშოსა შინა მისსა, არა ხორციელის

გემოვნებითა, გარნა არა თჳნიერ სულიერისა სახარულევანისა აღტაცებისა, გული ქალწულისა დნებოდა საღმრთოისა სურვილითა და სერაფიმებრივის სიყვარულითა აღენთებოდა სული მისი! გონება მისი სრულებით გამოვიდა ვითარმე მისგან და შეერთდებოდა ღუ̂თისათანა, დასტკბებოდა რა გამოუთქმელითა სიხარულითა მისითა. და ესრეთ რაჟამს აღივსებოდა რა და დასტკბებოდა საღმრთოითა სიყუ̂არულითა და სულიერად ხილვითა ღუ̂თისათა, მაშინ მუცლად-იღო ძე ღუ̂თისა, და სიტყუ̂ა ხორციელ-იქმნა და განკაცებით დაიმკვიდრა მას შინა.

ანგელოსმან აღასრულა ხარება ესე ბრძანებისაებრ ღუ̂თისა, ძრწოლით და მოწიწებით მისცა პატივი და თაყვანისცემა განხორციელების მექონსა საშოსა შინა ქალწულისასა და თჳთ ქალწულსაცა, მიმღებელსა თჳს შორის ღუ̂თისასა, აღფრინდა იგი ზეცად უფლისა საბაოს მიმართ აქებდა და ადიდებდა საიდუმლოსა ღუ̂თისა განკაცებისასა ყოველთა თანა ზეციურთა ძალთა გამოუთქმულსა სიხარულსა შინა.

# ქუეყნიერი სამოთხე. (*)

საყჳარელო მეგობარო! გამიგონე რა გიამბო!

განვიცდი მე განკვირვებით ერთსა ხილულს ადგილსა, რომლისა შჳენიერება და სიტურფე სანახებითურთ თჳსით განაცჳფრებს და დაატკბობს საცნობელთა ჩემთა უფროს ყოვლისა ჩემ-მიერ ხილულის ქჳეყნიერისა იშვითის სახილავისა; რომლისა-თჳს მეოცნების და ვაზმნობდა; ნუ თუ იგი არს ადამის-თჳს ედემს დასხმული ხილული იგი სამოთხე, აქა მოცჳალებული ადგილისაგან თჳსისა, ყოვლისა სოფლისა წარღჳნისა მიერ განგებითა მაღლისათა? და უკეთუ არა იგი არს, უცილობელად მსგავსი მისი არს, ახლად დასხმულ და დასახულ ყოვლად-ძლიერითა მარჯჳენითა ზენარისათა, ახალსა სოფელსა შინა, ახალთა კაცთა თჳს, ძეთა ნოესთა; რომლისაცა მსურის მე აღწერით გამოხატჳა და წარმოჩინება, საუწყებელად შენდა, რომელი ვერ განიცდი ხორციელითა თჳალითა სიკეთესა და ღირსებასა მისსა!

---

(*) ეს სტატია მივიღეთ ამ მოკლე წერილით: «მამაო რედაკტორო! აჰა თელავის აღწერა მომირთმევია; თუ მოეზავებოდეს თქუენს ჟურნალს დაბეჭდეთ, რომ ახალს ქართულთან ძველი ქართულიც არ დაიკარგოს; და თუ არ მოეზავებოდეს, უკანვე დამიბრუნეთ, და თქუენ განაგრძეთ თქუენი კეთილი შრომა, რომელსა შინა შემწე გუ-ყავს სული სიბრძნისა და მეცნიერებისა!» — ამ წერილმა ყოვლად-პატიოსნისა ავტორისამან წარმოგვათქმევინა ჩუენ შემდგომი სიტყვები: ვისაც ძველი ქართული სძულს, იმას არც ახალი ეყუარება. მაგრამ უეჭუელია, რომ როგორც მოხუცებული

გარნა არა ჩემებრ უცებისა და უტყვისაგან ჯერ-იყო ესე ვითარისა უუ-რად-საღებელისა და სატრფიალოსა საგანისა აღწერა, არამედ ყოვლად-სათანადო იყო, რათა ღირსად და შესაბამად გამოსთქუნა და წარმოაჩი-ნა ენამზეობამან ისოკრატისმან, გინა დიმოსთენისმან; ანუ თუ გამო-ხატნა ქარტასა ზედა ფერად ფერადთა წამალთა მიერ ცხოველმან კალა-მმან ზევსისმან პირად პირადნი შუჱნიერებანი ახლისა ამის ქუჱყნიერი-სა სამოთხისანი, რომელ სახელ-ჰსდებენ მკვიდრნი ივერიისანი, კახთა სამეფოჲსა დედა ქალაქად თ ე ლ ა ვ ა დ, რომელი დასახა, დაასხა და დაამფუძნა დასაბამსა შინა მისსა შემოქმედმან ბუნებათამან, ვითარცა საც-ხოვრებელად და საშუჱბელად კაცთა ნათესავისა, ეგრეთვე გამოსაჩინე-ბელად და საქებელად საღმრთოსა განგებულებისა და შემძლებელობისა თჳსისა!

არამედ კადნიერ ვიქმნები და აღვსწერ მე მოკლედ არათუ მას, რაზა-მიცა ღირსება, შუჱნიერება და სიცოცხლე ჰგიეს მას შინა, რომლისაცა წარმოჩინება არ ძალუძს ბრჯგუსა გონებასა და მშრალსა კალამსა ჩემ-სა, არამედ გამოვხატავ მას ოდენ, რაჲსაცა ჰგრძნობს სუსტი იდია ჩემი! და ესრეთ, უმსგავსო აღწერა და გამოხატჳა ესე ჩემი, შეირაცხოს და დაიდჳას ზევსის გამოხატულსა ქარტინასა თანა, ვითარცა ქარტინა გა-მოხატული ა ნ ტ ო ნ ი კ ო წ ო წ ო ვ ი ს ა!

ამა ქუჱყნიერისა სამოთხისა ატმოსფერასა შეადგენს ჩრდილო-აღ-მოსავლეთით სივრცეჲ ზჳავად აღმართებულისა მაღნაროვანის კავკასიისა, ხოლო სამხრე-დასავლეთით ტევრით მოსილნი მთანი ცივისა და გომ-ბორისანი. ამას ცივის კალთასა ზედა, გინა ძირსა, დასაბამსა თჳთ მის

---

კაცის გაუმაწვილება, ეგრეთვე უმაწვილის ძალათ დაბერება წინააღმდეგია ბუნებისა.— ჩუჱნ მოგვწონს და გვიყუარს ძველი ქართული ენა და მწერლობა, ვითარცა საფუ-ძველი და მშობელი ახლისა; ვაქებთ და ვადიდებთ მათ ჯეროვანითა ქებითა და პატი-ვითა,—და ამასთანავე ვცდილობთ და ვშრომობთ, რათა ჩუჱნცა—ახალ-ნერგნი ქარ-თუჱლნი—არა დავშთეთ უენოთ, უაზროთ. და უნაყოფოთ

რედ.

მთისასა, რომელიცა განიყოფების ხევთა მიერ სამად ვაკე ბორცვებად, მდებარებს ქალაქი თ ე ლ ა ვ ი, ყოვლითა ბუნებითითა სამკაულითა თჳსითა განშუენებული და გამდიდრებული წინამდებარით სანახებითურთ თჳსით. აქა სიწმინდე და სიკეთე ჰაერისა აღიწევის მაღალსა ხარისხსა ზედა სიმრთელისასა, ვინაჲგან სიმაღლენი გარეშემცუელთა მთათანი მარადის აახლებენ მას სიგრილითა თჳსითა და თხელჰყოფენ მსუბუქ სამშვინველად ყოვლისა ცხოველისა. ქალაქსა შინა ყოვლით კერძო და ყოველსა ადგილსა ჰსდიან უხუად ურიცხუნი სილოამნი და ცხოვლობისა წყარონი, ჭავლებად მონაკადენი სუფთათა ღვინჭათა ზედა, რომელნი აღემატებიან ერთი მეორესა ზედა სიწმინდით, სიგრილით და გემოვნებით. ქალაქი თვინიერ ბაზრისა სრულიად დაფარულ-არს ვენახთა და წალკოტთაგან, და იხილვების ზაფხულით ყოვლადვე ზურმუხტის ფერად და შუენიერ ნამუშაკევად, ვინაჲდგან მკვიდრნი მისნი დასახლებულ-არიან თჳს თჳსთა მამულთა ზედა, ლელუთა და ბაჲილოთა ქუეშე, წყაროთა მათგან რწყულთა, სადაცა ჰსჩანან მწუანეთა ვარჯთა ქუეშე ამოდმოშრიალეთა ნაყოფ მოსილთა ხეთასა, წითლით კეცით ბურჯილნი სართულნი ქვითკირის შენობათანი, რომელნი განაშუენებენ ბაღასშის გუარად სიმწუანესა მისსა, და მიამსგავსებენ ჩინელთა ხელოვნებასა.

თჳთოეულსა ხსენებულსა მას ბორცუსა ზედა შენებულ არიან ძველნი ვრცელნი და მაღალნი ქვით კირის ზღუდე-გოდოლნი, სიმტკიცენი ქალაქისანი ჯერეთცა მყარსა მდგომარეობასა შინა კანონიერად გებულნი, რომელნი ზარჰსცემდნენ ოდესმე პირისპირ, მათსა დამკვიდრებულთა მხეცთა კავკასიისათა და მოიყუანდენ მონებასა და მორჩილებასა შინა თჳსსა, რომელთაცა თჳთოეულსა მათგანსა შინა შესაძლებელ-არს ყამსა მტერთა გარემოდგომილებისასა, სრულიად მკჳდრთა ქალაქისათა თავისუფლად დატევნაჲ,—მათ შინავე აღმართებულ-არიან ტაძარნი ქვითკირისანი სადიდებელნი ღუთისანი, შუენიერად შემკობილნი, და არა რათ ნაკლულევანნი ყოველთა ეკკლესიურთა სამკაულთა და ჭურჭელთაგან. საშუალისა ბორცვისა ზღუდეთა შორის იხილვებიან სალმობელსა მდგომარეობასა

შინა სამეფოსა პალატნი, ცა დაქნილთა ქვით-კირით შენობათანი, ორ სართულოვნად გებულნი, ბედნიერნი ოდესმე თჳსთა მეპატრონეთაგან, აღყუაებულნი სეფეწულთაგან, განშუენებულნი დარბაისელთაგან, შემკულნი ბანოვანთაგან, შუებულნი და განცხრომილნი სალხინოთა მუტრიბთა და მგოსანთაგან, რომელნი დაშთომილ არიან აწ საზოგადოსა ხუედრსა შინა, მღამიობთა სამალავად, და საბუდრად მერცხალთა, რომელნი შავმოსილებითა და სალმობიერითა ჭრტინვითა თჳსითა წარმოაჩენენ საიდუმლოსა გლოვასა რასამე ზეციერისა მსჯავრისასა, რომლისა მხილველი მყის-თანად იგრძნობს ამაოებასა ამის სოფლისასა ! (*)

წინარე ქალაქისა ამის განვრცელდების თვალთა საოცნებელი, თანასწორი შუენიერება ვაკისა, ვიდრე ძირადმდე კავკასიისა, და შესავალს კარებადმდე ჯარისა და ზელაქნისათა, რომელსა განჰყოფს საშუალ წარმდენი ალაზანი, ჩრდილოეთით მომდინარე სამხრეთად, რომელსა შინა ინადირებიან ზუთხი და ორაგული, ღლავი და კობრი, და სხუანი წვრილწი თევზნი. ესე ვრცელი ტაფჯალა დაშენებულ-არს ამიერ და იმიერ ალაზნის მდინარისა დაბათა და სოფლებთა მიერ, რომელნიცა ყოვლით

(*) წინარე ამა სამეფოსა პალატისა იყო აღმოსავლეთით კერძო საკეთილ-შობილო შკოლა, რომელსა შინა ჰსწავლობდენ თავადნი, აზნაურნი და სამღუდელონი მეფობასა ირაკლი მეორისასა, და იყო რეკტორად მას შინა არხიმანდრიტი გაიოს კახეთის აზნაურთაგანი, განსწავლული კათოლიკოსის ანტონი პირველისაგან, რომელიცა შემდგომად წყინებისა რაჲსათჳსმე დამტევებელი შკოლისა მის წარვიდა როსიად, და მუნ აღყუანებული ხარისხსა მღუდელთ-მთავრობისასა დაიდგინა მწყემსად მოზდოკისა და კავკასიისა, და შემდგომად აშტარხნისად, სადაცა გარდაიცვალა მოკლეთა მათ დრო შინა: შემდგომად მისა იყო შკოლასა მას შინა რეკტორად დავით ალექსიშვილი, განსწავლული მისვე ანტონი პირველისაგან: შემდგომად მეფის ირაკლის გარდაცვალებისა, თუმცა ზრუნვიდენ შკოლისა ამისთჳს უკანასკნელი მეფე გიორგი, და მემკვიდრე მისი მეფის ძე დავით, რომელი თჳთცა განისწავლებოდა მუნ ფილოსოფიასა შინა, გარნა შემდგომად მეფისა ამის გარდაცვალებისა და ძისა მისისა დავითის როსიად წარსლვისა, გაუქმდა შკოლა იგი და განიბნივნეს მოწაფენი მისნი, ვინადგან არღარავინ იყო მზრუნველ და მფარველ მისა.

კერძო ჰსჭურეტენ დედა ქალაქსა თჳსსა, ვითარცა სამეფოსა და ლიჭსა ზედა მჯდომარესა დედოფალსა, რეცა მუხლდადგმით მაჩუენებელნი მონებრივისა სახისა და მსახურებისა მისისანი.

